ცნობის ფურცელი

№ 2216 ხუთშაბათი, 24 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2216

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: [illegible] სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. კ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-137 №-რი.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი"
კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

იბეჭდება
ნაწერები სერ. მესხისა
ორ ტომად, გამოცემა ს. ფირცხალავასი.

პირველ ტომში დაბეჭდილი იქნება ნაწერები 1869—1878 წლებისა, მეორეში—ნაწერები 1879—1883 წ., მოგონებანი სხვა-და-სხვა პირისა ს. მესხის შესახებ და წერილები ს. მესხისა.

პირველ ტომში მოთავსებული იქნება აგრეთვე ავტორის სურათი და ავტოგრაფი, მეორეში ავტორის და გიორგი წერეთლის სურათი (ერთად) 1872 წლისა.

მიიღება ხელის მოწერა. ხელის მომწერთათვის ორივე ტომი ღირს 1 მან. 20 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წ. კითხვის მაღაზიაში (Тифлисъ, Общество распростр. грамотности), აგრეთვე ქუთაისში მიტრ. ლალიძესა და ვას. ბენენეიშვილთან.

◆ პირველი ტომი უკვე იბეჭდება და გამოვა ივლისში ◆
მეორე ტომი გამოვა სექტემბერში. (5—5.—5)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მრ. გ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.
(წდ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ქაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
15 ივლისიდან 1-ლ აგვისტომდე მიიღებს ავადმყოფებს ახალციხეში. (3—3)

ახლად გახსნილი მაღაზია
ხატებისა და ყოველივე საეკლესიო სამკაულისა
კ. დ. კოზახიძისა.

ბლომად მიღებულია ხატები, ხატების ჩარჩოები და ყოველივე ეკლესიური სამკაული. მიიღება შეკვეთება. ქალაქ გარეთ დაკვეთილი იგზავნება დაუყოვნებლივ.

მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თუმანოვისა. (8—6.—8).

ქ. ქუთაისში
ექიმი გაბრიელ იოსების ძე
გოკიელოვი
გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—6.—3)

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაშვილი
მიიღებს შინაგან, ნერვებით და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს. დილით 10—12 საათ., საღ. 5—7 საათ.
რეუტოვის ქუჩა, № 6.
(10—124—0)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ორშაბათს საოლქო საბჭოების სესია გაიხსნა. ზოგიერთმა საბჭომ, მაგალითად, კამბესა, რეიმსისა, კარპანტრისა და დრაგინიანისამ სამინისტროს მისასალმებელი ადრესები გაუგზავნეს და ანტიკლერიკალურ პოლიტიკისათვის თანაგრძნობა გამოუცხადეს.

◆ საბიუჯეტო კომისიამ დუმერის თავმჯდომარეობით 14 ივლისს სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა განიხილა. მომხსენებელმა მოჟანმა წინადადება მისცა პალატას, სამხედრო ხარჯს დავაკლოთო. კომისიაც დასთანხმდა მოჟანს. სულ 3 მილ. ფრანკი დააკლეს სამხედრო ბიუჯეტს. 1902 წ. სამხედრო ბიუჯეტისათვის—715 მილ. ფრანკი იყო გადადებული, ეხლა კი 678 მილ. გადასდეს. ასე რომ სამხედრო ბიუჯეტს ეხლა 37 მილ. მოაკლდა.

◆ ჟურნალ „ლა რევიუ"-ში მთავარ შტაბის ოფიცრად ნამყოფმა, ეხლანდელმა დეპუტატმა მესიმიმ წერილი დაბეჭდა; მესიმი თხოულობს, ჯარის რიცხვი უსათუოდ შევამციროთო. ამ წერილმა დიდი ყურადღება მიიზიდა და ცხარე კამათი გამოიწვია პრესაში.

მესიმი ამტკიცებს, რომ საფრანგეთის ჯარის რიცხვი სრულებით არ შეეფერება საფრანგეთის მცხოვრებელთა საზოგადო რიცხვსაო. საფრანგეთს მშვიდობიანობის დროს ბევრი-ბევრი 400 ათასი ჯარის კაცი უნდა ჰყავდეს და არა 500 ათასიო. მაგრამ სამხედრო სამსახურისათვის ორი წლის ვადა რომ დაწესდება, ჯარის რიცხვი თავის-თავად შემცირდება. ხსენებულ რეფორმასთან ერთად საჭიროა პოლკებისა და როტების რიცხვიც შემცირდეს. მერე, ჯარის ექიმებად, საავადმყოფოში და საინტენდანტოში მოსამსახურეებად შეიძლება არა სამხედრო კაცებიც დაინიშნონო. ამას გარდა მესიმი ამბობს, საფრანგეთის ჯარში ძლიერ ბევრი უფროსისა და ინსპექტორის ადგილები მეტიაო; ამ ადგილებზე სულ უსარგებლო კაცებს ჰნიშნავენ სხვა და სხვა მოსაზრებითაო; ყველა ეს ადგილები უნდა მოისპოსო; თავდაპირველად კი საჭიროა, წესად დაიდოს, რომ უფროსი გენერალი რამწამს 56 წლისა შესრულდება, სამსახურიდან გადადგესო. მესიმმ პარლამენტშიაც პროექტი წარადგინა და მოითხოვა უფროს გენერლების რიცხვი ერთი ორად შემცირდესო. ყველა ზემო ნათქვამი რომ ასრულდეს, სამხედრო ბიუჯეტი და კოლონიების დაცვის ხარჯი 910 მილიონიდან 775 მილიონამდე დავაო. საზღვაო სამინისტროს ბიუჯეტსაც შეიძლება 15 მილიონი მოაკლდეს, ასე რომ ყოველ წელს 150 მილიონი დარჩება; ეს ფული საფრანგეთის აუტანელ და მძიმე სახელმწიფო ვალის გასტუმრებას უნდა მოჰხმარდეს. მესიმის თავის პროექტის სასარგებლოდ ასეთი საბუთიც მოჰყავს. მესიმი სწერს: „საფრანგეთის ახალგაზრდობას იმის მეტი არა უნდარა, რომ მშვიდობიანად იცხოვროს და იმუშაოს... ევროპამ 30 წლის განმავლობაში ჩვენი ნამდვილი განზრახვა ვერ შეიტყო და სულ იმის ცდაში იყო, რომ ჩვენსავით შეიარაღებულიყო. ევროპა ყოველთვის თვალს გვადევნებდა, რომ ჩვენ მთელის ქვეყნიერობისათვის სამხედრო ცეცხლი არ წაგვეკიდებინა. თუ ეხლა ჩვენ ჯარის რიცხვისა და სამხედრო ხარჯის შემცირებით ცხადად დავამტკიცებთ, რომ მშვიდობიანი პოლიტიკა გვწადიან, მაშინ ევროპაც უსათუოდ ჩვენს მაგალითს მოჰბაძავს. ამ მოსაზრებას უფრო დიდი მნიშვნელობაც აქვს, ვიდრე ყოველ წელს 150 მილიონის დაზოგვას, თუმცა კი ფულის დაზოგვაც აუცილებლად საჭიროა ჩვენის ფინანსებისა და კრედიტისათვის. რაღა თქმა უნდა, ჯარის რიცხვს იმნაირად უნდა მოაკლდეს, რომ ჩვენის ქვეყნის უშიშროებას არა ევნოს-რა".

ცნობილმა პოლკოვნიკმა პიკარმა „ორორ"-ში წერილი დაბეჭდა და მესიმის დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა.

ავსტრო-უნგრეთი. უნგრეთის ოპოზიცია მოსვენებას არ აძლევს მთავრობას. ჰერცოგოვინაში ალლუმის დროს მომხდარი უბედურებაც დაიხვია ხელზე და კიდევ ერთხელ გაჰკიცხა მთავრობა. ოპოზიცია ამის თაობაზე სეიმში შეეკითხა მთავრობას. სამხედრო მინისტრმა კალოშვარიმ ოპოზიციას უპასუხა და თითქმის იგივე სთქვა, რაც სამხედრო სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში ეწერა. ოპოზიცია არ დაკმაყოფილდა ამ განმარტებით და მინისტრს უყვიროდა: „ეგ მკვლელობაა!", „არსად არ მომხდარა მაგისთანა ამბავი!" და სხვ. ოპოზიციამ ისიც გამოუცხადა მინისტრს, რომ კერძო ცნობებით, გაცილებით მეტი ჯარის-კაცი მომკვდარა ალლუმის დროს, სინამ მთავრობამ გამოაცხადაო. ოპოზიციას ნამეტნავად იმაზე მოსდიოდა ჯავრი, რომ ოფიცრები თურმე მეტად მხეცურად ექცეოდნენ ჯარის-კაცებს და ვინც წაიქცეოდა, ხმალსა სცემდნენ და ისე აყენებდნენ. აფიცრებს იმის თადარიგიც კი არ დაუჭერიათ, რომ სიცხისა და ხანგრძლივის სიარულისაგან დაქანცულ ჯარის-კაცებისათვის დასალევი წყალი მაინც დაემზადებინათ.

◆ უნგრეთის საზოგადოებამ 13 ივლისს უმცროს რაკოცის ხსენება იდღესასწაულა. რაკოციმ 200 წლის წინად უნგრეთი ააჯანყა ჰაბსბურგების დინასტიის წინააღმდეგ. ნადიმს, სხვათა შორის, სეიმის თავმჯდომარე გრაფ აპონიიც დასწრებია და სიტყვაც წარმოუთქვამს. ორატორს უთქვამს: ყველა მოვალეა რაკოცის „წმინდა" ხსენებას პატივი სცესო; რაკოცი დიდებული კაცი იყოო. ეს ნადიმი და აპონიის სიტყვა ცხადად გვიჩვენებენ, თუ რა თვალით უყურებს უნგრეთის საზოგადოება ავსტრიასთან ერთობას. რაღა თქმა უნდა, გერმანული გაზეთები მკაცრადა ჰკიცხავენ ნადიმის გამმართველთ და ნამეტნავად გრაფ აპონიის.

ინგლისი. 14 ივლისს პალატამ ხელ-მეორედ განიხილა ბილი სამხრეთ-აფრიკის სესხზე. ამის თაობაზე გამართულ კამათში ვილიამ ჰარკორტმაც მიიღო მონაწილეობა.

ჰარკორტმა ბილის ზოგიერთი საფინანსო მხარე გაარჩია. ამ ბილის ძალით, ტრანსვაალი სულ 65 მილიონ გირვ. სტ. სესხულობს. ამ ფულიდან 30 მილიონს ინგლისის გარანტიით თავის შინაურ საჭიროებისათვის სესხულობს; 30 მილიონი კიდევ იმისთვის უნდა, რომ ინგლისს ომის დროს გაწეული ხარჯი გადაუხადოს. ჰარკორტმა იკითხა, ამ 35 მილიონის გადახდის გარანტიას ვილა ჰკისრულობსო. მერე ორატორმა აღნიშნა, რომ ტრანსვაალი ბრიტანიის მმართველობის დროს უცებ 65 მილ. გ. სტ. ვალს იღებსო, ომამდე კი სულ მცირე ვალი ჰქონდაო. კოლონიის შემოსავლის მომეტებული ნაწილი სულ ამ სესხის სარგებლის გასტუმრებას მოუნდება, რადგან ტრანსვაალს $4^1/_3$ მილ. გირვ. სტერლინგზე მეტი შემოსავალი არა აქვს წელიწადშიო. ბილის თანახმად, 10 მილ. გ. სტ. სასარგებლო საქმეებს უნდა მოჰხმარდეს. ორატორის აზრით, ეს ძლიერ ცოტაა. შემდეგ ჰარკორტმა ადგილობრივ მკვიდრ მუშებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ორატორმა იკითხა: მართალია რკინის გზებზე მომუშავე კაფრებს ძალას დაატანენ, რომ მადნებში იმუშაონო? ხმა დადის, ვითომ კოლონიების საბჭოს წინადადება მიეცეს მთავრობისათვის, კაფრები ძალათ ამუშავეთ მადნებშიო. თუ ეს ხმა მართალია, უნდა ვსთქვათ, რომ საბჭოს მოთხოვნილება მეტის-მეტად უსამართლოა. ზოგიერთი იმ აზრისაა, რომ მადნებში მუშაობა არ შეიძლება, თუ აზიიდან მუშები არ მოვიყვანეთო; განა ჩვენი კოლონიები ყვითელკანიანების (ჩინელების) ქვეყნად უნდა გადავაქციოთო. ჰარკორტმა სთხოვა მთავრობას, ამ საქმეზე გადაჭრით გამოსთქვით თქვენი აზრიო.

ჰარკორტის პასუხად ჩემბერლენმა სთქვა: 30 მილ. გ. სტ. სესხისათვის ტრანსვაალშიაც შესაფერისი კანონი უნდა გამოიცეს, და ეჭვი არაა, რომ ამ კანონს იქაური საკანონმდებლო საბჭო უსათუოდ დაამტკიცებსო. კოლონიების მინისტრი დარწმუნებულია, რომ თავის პირობას ტრანსვაალი რიგზე შეასრულებს. მინისტრი თანახმაა, რომ ტრანსვაალი 65 მილ. გ. სტ. ვალს იღებს და ამ ფულიდან 30 მილ. ტრანსვაალისათვის უსარგებლო იქნება ისე, როგორც თითონ ინგლისისთვისაც უსარგებლოა სამხედრო ვალი. ჩემბერლენი ჰფიქრობს, რომ კოლონიებს სხვა სესხიც დასჭირდებათ; რადგან ტრანსვაალისა და ორანჟის კოლონიისთანა მდიდარი მხარე მთელს ქვეყნიერობაზე არსად არაა, იმედია, რომ ამ კოლონიებს დიდის ფულის შოვნაც არ გაუჭირდებათ; ეხლანდელი სესხი მარტო პირველი ნაბიჯია. კაფრების მუშაობაზე მინისტრმა სთქვა: კოლონიების საბჭო სამართლიანად თხოულობს, რომ მადნებში მომუშავე კაფრებს სხვა საქმეებს არ აძლევდნენ; თუ მადნებიდან ადგილობრივ მუშებს გამოვიყვანთ, მადნის მრეწველობა ძლიერ დაეცემა. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ბურების კეთილ-დღეობაც ოქროს მრეწველობაზეა დამოკიდებული. მთავრობა ძლიერ შესცდება და სამხრეთ-აფრიკის აყვავებასაც ძლიერ შეუშლის ხელს, თუ კაფრებს მადნების მაგიერ სხვაგან ამუშავებს ხოლმე. ლორდ-მილნერმა პროექტი შეადგინა, რომ კაფრების მაგიერ რკინის გზებზე ინდოელი მუშები ემუშავებინა იმ პირობით, რომ ვადის შემდეგ ეს მუშები ისევ ინდოეთში დაბრუნებულიყვნენ. ნატალშიაც ამნაირი წესია შემოღებული; რატომ ტრანსვაალში კი არ უნდა ვცადოთ ესევე? ინდოელი მუშები ძლიერ კარგად მუშაობენ უგანდასა, ვესტ-ინდოსა და მავრიკის კუნძულებზე. კოლონიების მინისტრი თანახმაა, რომ ამ ჟამად ტრანსვაალის საზოგადოება წინააღმდეგია, აზიიდან მუშები მივიყვანოთ იქაო; ამიტომ მინისტრი ძალით არ მოახვევს კოლონიას აზიელ მუშებს, მაგრამ თუ კოლონისტები თვითონ გამოიცვლიან აზრსა, მაშინ მინისტრიც მილნერის პროექტს დასთანხმდება. ჩინელ მუშების მოყვანაზე ეხლა ლაპარაკიც-კი არ შეიძლება, რადგან ჩინელების მოყვანა უფრო მეტს პროტესტს გამოიწვევს, სინამ ინდოელ მუშების მოყვანამ გამოიწვია.

ამის შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ლაბუშერმა, რაილმა, ბოულსმა და სხვ.

ფინანსთა მინისტრმა რიჩიმ უპასუხა დეპუტატ რობერტსონს, რომ ტრანსვაალისაგან ნასესხებ 30 მილ. გირვ. სტრ. ვალის იურიდიულ პასუხის გებას ინგლისი თავის-თავზე როდი ჰკისრულობსო. ბოლოს პალატამ მეორედ წაკითხვის შემდეგ ეს ბილი დაამტკიცა.

ბოლგარია. გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ვითომ ბოლგარიაში სამხედრო შეთქმულობა გაემართოთ, რევოლიუციას აპირებდნენ და მთავარი ფერდინანდიც ამიტომ გაქცეულიყოს ბოლგარიიდან. „კელნიშე ცაიტუნგ"-ს ამის თაობაზე წერილი დაუბეჭდავს და ამტკიცებს თურმე, რომ ყველა ეს ხმები განგებ, სერბიის მთავრობის გავლენით დაჰყარეს გაზეთებმაო. ვითომ სერბია მარტო იმასა ჰფიქრობდეს, როგორმე ბოლგარიის ჯავრი ამოიყაროს სლივნიცასთან 1885 წელს დამარცხებისათვის, ყოველნაირად სცდილობდეს, რომ ბოლგარია ოსმალეთს წაჰკიდოს და ომოს და მერე უკანიდან დაეცეს ბოლგარიას; ჯერჯერობით კი იმით კმაყოფილდება, რომ ბოლგარიის მთავრობას სახელს უტეხსო. ამ წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უცხოეთის პრესაში. ამბობენ, ბოლგარიის მთავრობის წრეებიც თითქმის ყველაფერში ეთანხმებიან ამ წერილსაო. მთავარ ფერდინანდის კერძო მდივანს უთქვამს ერთის გერმანულ გაზეთის თანამშრომლისათვის: მთავრის აზრით, ეს ხმები ბოლგარიაზე სერბიის მეფე პეტრეს დაახლოვებულ პირების გავრცელებული უნდა იყოსო. ამავე მდივანს ეთქვა: ბოლგარიის მთავრობა დიპლომატიის საშუალებით პასუხის გებას მოსთხოვს იმ პირებს, ვინც ხმა გაავრცელეს, ვითომ მთავარი ფერდინანდი ბოლგარიიდან გაქცეულიყოსო.

ახალი ამბავი

◆ **ბათუმიდან დეპეშით გვატყობინებენ:** „22 ივლისს, საღამოთი,ართვინის გზაზე, სოფ. ბორჩხიდან ხუთის ვერსის მანძილზე, გაძარცვეს ბათომიდან მიმავალი ფოსტა. წაიღეს 17,000 მანეთი. ფოსტას მისდევდა ფოსტალიონი, ორი ჩაფარი და მეოთხეც მეეტლე იყო. მოჰკლეს ფოსტალიონი და ერთი ჩაფარი. მეორე ჩაფარი დასჭრეს".

◆ 22 ივლისიდან **თოფიანი ჯარის-კაცები ტრამვაის ვაგონებზე აღარ არიან.** უსახელო საზოგადოებას ვაგონებისთვის სულ 150 ჯარის-კაცი ჰყავდა, რომელთაც სასყიდელსაც აძლევდა. როგორც ამბობენ, ერთის კვირის განმავლობაში უსახელო საზოგადოებამ 15,000 მანეთი იზარალა.

◆ ამ ბოლოს დროს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ხუთ ადგილას შენიშნეს, რომ **ლიანდაგი გაფუჭებული იყო,** სახელდობრ: ორი ალსტაფას სადგურთან, ერთი ბათუმის ნაწილში და ორიც ბაქოს შტოზე.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ მაშინისტები **მეტად ფრთხილად იქცეოდნენ** ხიდებზე გავლისა და დაღმართებში ჩასვლის დროს. მატარებლები ასეთ ადგილას, განსაკუთრებით ღამე, ძალიან ნელა უნდა გაატარონ. ამ გვარ განკარგულების მიზეზი ის არის, რომ ამ ბოლოს დროს გზა ბევრგან აღმოჩნდა გაფუჭებული.

◆ 21 ივლისს ბაქოს ჩასულა **შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი,** ჟანდარმთა კორპუსის უფროსი გენერალი ფონ-ვალი,

◆ სადგურის უფროსებმა რკინის გზებზე ბრძანება მიიღეს, თვალ-ყური ადევნონ **ლიანდაგის მდგომარეობას,** რომ უბედურება არსად მოხდეს. ამას გარდა გზის გამგეობამ ლიანდაგზე ახალი დარაჯებიც დანიშნა.

◆ 20 ივლისს, როგორც ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ, რკინის გზის ბაქოს ნაწილში **დაუჭერიათ ერთი კაცი,** რომელიც უბედურების მოსახდენად ლიანდაგს აფუჭებდა. ეს კაცი შეიპყრეს, რკინის გზის ფორმა აცვია, მაგრამ ვერავინ იცნო. ნამდვილად ვერ გაიგეს, რკინის გზის მოსამსახურეა თუ არა.

◆ შარშან საქართველოს ეგზარხოსმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ საეკლესიო **კრებულებს მიეცეთ დასამუშავებლად მიწა.** როგორც ზოგიერთი გაზეთები გადმოგვცემენ, მთავრობას უკვე ნება დაურთავს, რომ ზოგ კრებულს მიეცეს მიწა.

◆ ბაქოში იყო **საოლქო საქარხნო ინსპექტორი გ. გნედიჩი.** ამ ინსპექტორს აბარია კავკასიის საქარხნო რაიონი. ინსპექტორმა მოჰკრიბა საჭირო ცნობები და გამოართვა მოხსენება ადგილობრივ საგუბერნიო საქარხნო ინსპექტორს. 21 ივლისს საოლქო ინსპექტორი ბაქოდან ტფილისს წამოვიდა.

◆ ყოველ დღე, დილის 8 საათიდან, **ტფილისის სახელოსნო გამგეობაში** მრავალი ხელოსანი შედის სხვა და სხვა საქმისათვის. ზოგს სამი-ოთხი წუთის საქმე აქვს, მაგრამ ხშირად თორმეტ და პირველ საათამდე უხდება ცდა, რადგან ხელოსანთა მოურავი გვიან მოდის. ამის გამო სამართლიანი საყვედური ისმის ხელოსნებს შორის. წინადაც ვამბობდით და ეხლა კიდევ ვიმეორებთ, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს ასეთ უწესოებას. ხელოსნისთვის ერთი და ორი საათის დაკარგვა დიდი რამ არის, აქ-კი ხუთ-ექვს საათსაც აკარგვინებენ.

◆ 24 ავგისტოს **ქუთაისში მოხდება** წლისაყვანის ამხანაგობის პაის პატრონთა კრება. კრებას მოხსენდება საქმის ვითარება და ანგარიში იმისა, თუ რაში დაიხარჯა ფული.

◆ ამას წინად ვწერდით **ზაქათალის ქალთა სკოლის** გადაკეთების შესახებ. სკოლა უნდა გადაკეთდეს მარიამის სახელობის სასწავლებლად 1904 წლის პირველ იანვრიდან. ხაზინა ამ სასწავლებლისთვის გადასდებს 1656 მანეთს, ქალაქის საზოგადოება—350 მანეთს 1904 მანეთიც სასწავლებლის თანხიდან უნდა გადაიდოს.

◆ ნება-დართეს, რომ საუფლისწულო უწყების ღვინის სარდაფებში **ჩაქვის მამულის ჩაი** გაიყიდოს.

◆ ბაქოს გუბერნიის **ჟანდარმთა გამგეობის** უფროსად დანიშნეს რუსეთიდან პოლკოვნიკი დრემლიუგა, რომელიც 21 ივლისს ჩასულა ბაქოს.

◆ უკვე ვწერდით, რომ პავშვთა სამზრუნველო საზოგადოების გამგეობამა და აღმზრდელ და მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ მიხეილის პროსპექტზე დაიქირავეს **ბავშვების სასეირნოთ და გასართობად ბაღი.** გასართობები იმართება დილით 8 საათიდან 12-მდე და საღამოთი 5 საათიდან 8-მდე. გასართობები საქმე დღეებში უფასოა, ხოლო კვირაობით შემსვლელმა უნდა გადაიხადოს 10 კაპ. რადგან ხარჯი დიდია და შემოსავალი კი მცირე, გუშინ აღნიშნულ საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, რაიმე დახმარება გაუწიოს ამ საქმეს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ქალაქის იმ ადგილებში, სადაც **ჯერ მიჯნები არ არის,** ან და აღარა სჩანს, 27 ივლისს მიდის მიწის მზომელთა კომისია ამ ადგილების დასამიჯნავად და ძველის მიჯნების აღსადგენად.

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, გუშინ საგუბერნიო **სასტატისტიკო კომიტეტმა** სთხოვა ქალაქის გამგეობას ცნობები ქალაქის შემოსავალ-გასავლის შესახებ 1902 წელს.

◆ ტფილისის **საბაღოსნო სკოლის** ის მოსწავლენი, რომელთაც წელს სწავლა დაამთავრეს, დაბრუნდნენ კასპიდან ტფილისში. მოსწავლენი კასპში ვაზის წამლობის შესასწავლად იყვნენ. ამ დღეებში სკოლის გამგე ამ მოსწავლეებს მოწმობებს დაურიგებს და დაითხოვს.

◆ გუშინ, 23 ივლისს, „გალკინ"-ის ფირმის წარმომადგენელმა თავ. გურამიშვილმა წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას მოხსენება. თავ. გურამიშვილი სთხოვს გამგეობას, ნება მისცეს საცდელად გამართოს ორი **ახალის სისტემის ფარანი,** ერთი ერევნის მოედანზე, პუშკინის ბაღის პირდაპირ და მეორე—სამხედრო მუზეუმთან.

◆ 21 ივლისს ტფილისის სახელოსნო გამგეობაში მოხდა არჩევნები აზიურ მეჩექმეთა ამქრის მოხელეთა. უსტაბაშად აირჩიეს მაისურაძე, იმის ამხანაგად—გოგაძე და სამთელაძე, ხოლო ხმოსნებად—პაპინოვი და ფირადოვი.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის ხორცის დუქნების გამგემ სთხოვა გამგეობას გადასცეს 5076 მან. დუქნების საჭიროებისათვის. გამგე მიემგზავრება საკლავ საქონლის მოსარეკად.

◆ რიყეზე, ვორონინის სახლში მცხოვრებ ტიაგულოვის ქვრივს უცაბედად ლამპა წაჰქცევია. ლამპა გამსკდარა და ალი ქალს მოსდებია. ქალი თუმცა სიკვდილს გადაურჩენიათ, მაგრამ ძალიან დაშავებულა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ქალაქის წყლის მილის გამგე, ტეხნიკოსი ქურდიანი, თვე ნახევარით გაანთავისუფლა საქმისაგან. ქურდიანის თანამდებობას შეასრულებს ტეხნიკოსი ბ-ნი აღაჯანოვი.

◆ 29 ივლისს სხდომა ექნება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს გამგეობის საქმეების რევიზია.

შეცდომის გასწორება. იმერეთიდან გვწერენ: „ბოდიშს ვიხდი და ვთხოვ გაასწოროთ ჩემი შეცდომა. გუშინ გწერდით, რომ დაიწვა სტუდენტების წიგნები, ტანისამოსი და სხვა ავეჯი-მეთქი. ეხლა გავიგე, რომ ყოველივე ეს ამ ცოტა ხნის წინად ერთ ამხანაგს თავისთან გადაუტანია და ამის გამო, ჩვენდა სასიხარულოდ, გადარჩენილა".

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისი ცოტა ახმაურების შემდეგ ისევ დაწყნარდა და ჩვეულებრივს კალაპოტში ჩადგა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეხლა მაღაზიები დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდისაა მხოლოდ ღია; კვირა უქმე დღეებში კი მთელის დღით დაკეტილია. ამ შემთხვევით სარგებლობს რამდენიმე ვაჭარი და იმ დროს, როდესაც ყველა მაღაზია დაკეტილია, იმათ გაჩაღებული ვაჭრობა აქვთ: ნოქრების ნაცვლად ცოლ-შვილი შეუყვანიათ მაღაზიაში და იმათ ასრულებინებენ ნოქრების მოვალეობას. ამას შვრებიან ისეთი ვაჭრები, რომელნიც ნივთიერად სრულიად უზრუნველნი არიან.

◆ „ცნ. ფურც."-ში უკვე დაბეჭდილი იყო მაღაზიის პატრონს გაბუნიასა და ნოქარს შორის მომხდარი ამბავი. ეს ამბავი 21 ივლისს მოხდა და 22—ს, როგორც თქვენა გქონდათ მოხსენებული. აი რა გადმომცეს: გაბუნია ამ დღეს ჩამოსულა ბორჯომიდან და ლაპარაკი მოსვლია უფროს ნოქართან. ლაპარაკი იმდენად გამწვავებულა, რომ თითქმის შემოსაკრავადაც მიწეულან ერთმანეთზედ. ამ დროს გაბუნიას ნოქრის შესაშინებლად ჯიბიდან რევოლვერი ამოუღია, რომელიც უცაბედად გავარდნილა და ნოქარს ხელში მოჰხვედრია. მით უფრო სამწუხაროა ეს ამბავი, რომ გაბუნიას ნოქრებთან კარგი განწყობილება ჰქონდა და საბჭოს სხდომების დროს ეს ერთად-ერთი ხმოსანი იყო ვაჭართაგან, რომელიც ნოქრებს მუდამ ესარჩლებოდა. პოლიციამ შეიპყრო ბ-ნი გაბუნია.

◆ როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობას განუზრახავს, საბჭოს დადგენილების თანახმად, საღორიის აგარაკის თავისუფალი ადგილები დაგეგმოს და დაჰყოს სამოსახლოებად. თითო სამოსახლო ადგილს ექნება 200 ოთხ-კუთხი საჟენი. დაყოფვის შემდეგ ადგილები გაიცემა იჯარით ხუთის წლის ვადით. მსურველთ შეეძლებათ, თუ მოისურვებენ, ხუთის წლის შემდეგაც დაიტოვონ ადგილი, მხოლოდ ქალაქთან დადებული პირობა (КОНТРАКТЪ) კი უნდა გამოსცვალონ. საჭიროა, გამგეობამ დააჩქაროს ეს საქმე, რადგან სამოსახლო ადგილების იჯარით აღების მსურველი ძლიერ ბევრია. ქალაქის გამგეობას ამ საქმისათვის მოუწვევია მიწის-მზომელი.

რუსეთის ქრონიკა

◆ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ქ. სიმფეროპოლის ბოქაული გვოზდევიჩი გადააყენეს სამსახურიდან შემდეგი დანაშაულის გამო. ბოქაულს ერთ ადგილობრივ სასტუმროს კარებთან პოლიციელი დაუყენებია და უბრძანებია: ყოველი როსკიპი ქალი, რომელიც ამ სასტუმროში დაბინავდება, დაიჭირე და პოლიციაში წარმოადგინეო. პოლიციელს როსკიპ ქალების მაგივრად ორი პატივცემული ქალი დაუჭერია, ცნობილ მოქალაქეთა მეუღლენი, და წარუდგენია პოლიციაში. დაჭერილ ქალების ქმრებს რომ ეცნობათ ეს ამბავი, მივიდნენ თურმე საჩქაროდ პოლიციაში, ბოქაულ გვოზდევიჩს სცემეს და მეუღლენი გაანთავისუფლეს.

◆ ეგრედ წოდებულმა „საზოგადოებამ სამართლიანობისამ", რომელიც ამერიკაში არსებობს და წარმოადგენს მიწათ-მოქმედთა პირველ ნაციონალურ ორგანიზაციას, მიმართა თხოვნით რუსეთის მინისტრებს,—ფინანსთა და მიწათ-მოქმედებისას, შემწეობა აღმოგვიჩინეთ, რათა შეუთანხმდეთ რუსეთის სხვა და სხვა სამეურნეო საზოგადოებათ, კავშირთ და მეურნეთა კრებულთ იმ განზრახვით, რომ მწარმოებელთ საშუალება მიეცეს უფრო შეღავათიანად გაჰყიდონ საზღვარ-გარედ გატანილი სამეურნეო ნაწარმოები უმთავრესად პური. ამ განზრახვით „სამართლიანობის საზოგადოებამ" დაარსა „საერთაშორისო კავშირი საზღვარ-გარედ გასატან პურის მომყვანთა", რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სხვა და სხვა სამეურნეო საზოგადოებანი და კავშირნი შეერთებულ შტატებსა, რუსეთსა, არგენტინასა, ავსტრო-ჰუნგრეთსა, რუმინიასა, კანადასა და ბრიტანიის ინდოეთში. „საერთაშორისო კავშირი" ყოველ წელს კრებაზე დაადგენს როლმე, რა ფასად უნდა გაჰყიდონ წევრებმა თავისი პური. ამ ფასის რაოდენობა სასტიკად უნდა იქნას დაცული. 36,500 ამერიკელი ფერმები ოფიციალურად პირობით შეეკრნენ საერთაშორისო კავშირს, ერთ დოლარზე ნაკლებ არ გაჰყიდონ თავიანთი პური.

◆ უმაღლესის ბძანებით გაუქმებულია ფინლიანდიის კადეტთა კორპუსი. კორპუსში მოსამსახურენი შტატს გარეშე დარჩებიან საზოგადო არსებულ წესის თანახმად. ყოველ მოწაფე კადეტის მშობლებს მიეცემათ წლიურად 600 ფინური მარკა (150 მან.), რათა საშუალება მიეცეთ მოამზადონ შვილები სხვა კადეტთა კორპუსში ან სასწავლებელში მისაბარებლად.

◆ რუსეთის გაზეთების ცნობით ევროპის რუსეთში საზოგადოდ მოსავალს კარგი პირი არ უჩანს.

◆ მომავალ 1903—1904 სამოსწავლო წელში პეტერბურგის უმაღლეს საქალებო კურსებზე შემოიღებენ ახალ საგნებს: ისტორიის მეთოდიკას, რუსულ ენას, საეკლესიო სლავიანურ ენას, რუსულ სიტყვიერებას. კურსებზე შესვლის მსურველთა რიცხვი წელს 650-ა.

◆ რუსეთის ქალთა მფარველობის საზოგადოებას განზრახვა აქვს მოაწყოს ახალშენები უქმრო ქალთათვის, რომელთაც შვილები ჰყავთ. საზოგადოების მიზანია—დახმარება გაუწიოს იმ ქალებს, რომელთაც სახსარი არა აქვთ შვილების აღსაზრდელად. ქალებს შვილებითურთ მიიღებენ ახალშენებში, ასწავლიან მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგს სამის ან ოთხის წლის განმავლობაში, აგრეთვე სხვა-და-სხვა ხელობას და წერა-კითხვას. ერთის ამგვარ ახალშენისათვის უკვე აშენებენ სახლს ოხტის თოფის წამლის საწყობის სიახლოვეს.

◆ წელს, შემოდგომაზე, ქ. პეტერბურგში გაიმართება პირველ საერთაშორისო სამხატვრო-სამრეწველო გამოფენა ლითონისა და ქვისაგან ნაკეთებ ნივთებისა. გამოფენას ნოემბერში გახსნიან და 1904 წლის თებერვლამდე გასტანს.

◆ რადგან რუსეთის რკინის გზებზე გაძლიერდა საქონლისა და სამგზავრო მატარებლების მოძრაობა, გზათა სამინისტრომ საჭიროთ სცნო, შემოიღოს ზოგიერთ სახელმწიფო რკინის გზებზე ჩქარი ორთქლ-მავალები, რომელნიც საათში 60 ვერსს გაივლიან.

◆ გაზ. „ვოლინს" ატყობინებენ ქ. როვნოდან, რომ ადგილობრივ 49 ნოქარს და 23 ვაჭარს შუამდგომლობა აღუძრავთ ქალაქის საბჭოში სავაჭრო დროს შემოკლებისა და კვირა-უქმეებში დასვენების შესახებ.

◆ ჟურნ. „ჟელეზნოდოროჟნიკში" შემდეგი ამბავია მოთხრობილი. ამას წინად ქ. კურსკიდან ქ. ხარკოვში მიმავალ მატარებელში უფროსს კონდუქტორს შემოუვლია მგზავრები ბილეთების გასასინჯავად და ერთი უბილეთო მგზავრი აღმოუჩენია პირველ კლასში. შერცხვენილმა უბილეთო „პასსაჟირმა" სთხოვა კონდუქტორს, თუ შეიძლება ფული გამომართვით და უბილეთოდ წამიყვანეთო. „რატომ არა, დიდის სიამოვნებითო, უთქვამს კონდუქტორს,—ხუთი მანეთი ეღირებაო". მგზავრმა გამოიღო ხუთ მანეთიანი, მისცა კონდუქტორს და უთხრა: ძლიერ სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მსურს ჩემი გვარი შეგატყობინოთო და გაუწოდა თავისი სადარბაზო ბარათი. უფროსმა კონდუქტორმა აუჩქარებლად გამოიღო ჯიბიდან პენსნე, ჩამოიცვა ცხვირზე, წაიკითხა მგზავრის სახელი და გვარი, ჩაიდვა შემდეგ სადარბაზო ბარათი უბის წიგნში, ამოიღო იქიდან თავისი სადარბაზო ბარათი, ზედ მიდებული ხუთ-მანეთიან დაადო და ისევ ისე დინჯად და აუჩქარებლად გადასცა ყველა ეს მგზავრს და უთხრა: თქვენ ჩვენი გზის ახლად

დანიშნული მოძრაობის უფროსი ბძანებულ-ბარით, მე კი ჩვეულებად არა მაქვს, ჩვენ მოსამსახურეთ ფული გამოვართვაო.

პრესსა

გაზ. „ოდესსკ. ნოვ.“-ის თანამშრომელმა სკრიბმა ინახულა ლ. ნ. ტოლსტოი და მოჰყავს თავისი ლაპარაკი ამ სახელ-განთქმულ რუსეთის მწერალთან. ბ-ნი სკრიბი სოფელ იასნაია პოლიანაში სწვევია ტოლსტოის, საიდაც ისინი ერთად გამოსულან სასეირნოდ. სეირნობის დროს ლ. ნ. უთქვამს ბ-ნ სკრიბისათვის: „არ არის კარგი, რომ ჩემ შესახებ დაგიწყეთ ლაპარაკი. მაგალითად ვინმე სხვა უნდა მომეყვანა, მაგრამ რადგან დავიწყე, უნდა დავასრულო. მე ძალიან კარგად, მეტად კარგად ვგრძნობ თავს. არც სასოწარკვეთილება მეუფლა, არც მწუხარება, არც სევდა. მხოლოდ ერთი რამა მაქვს სამწუხარო; ისა, რომ არ ვიტანჯე, საზოგადოდ—ცოტა ტანჯვა გამომივლია. ჩემი აზრების გულისათვის რომ გამომევლო ტანჯვა, სულ სხვა შთაბეჭდილებას მოახდენდნენ ისინი. აი ეს მაწუხებს ახლა, სხვაფრივ კი ძლიერ კარგად, მეტად კარგადა ვარ.“

⁂

რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში იდღესასწაულეს ცნობილი მწერლის ბელეტრისტის ვლადიმერ კოროლენკოს 50 წლის იუბილეი. რუსეთის პრესსა თანაგრძნობით მიეგება იუბილიარს და დახასიათა მისი სამწერლო მოღვაწეობა. სხვათა შორის, „ნიჟეგორ. ლისტ.“-მა შემდეგი გულ-წრფელი სიტყვები უძღვნა ამ მწერალს.

> ვ. კოროლენკო მარტო მხატვარი არ არის, ვინც მის ნაწერებს კითხულობს, გრძნობს, რომ ავტორს უყვარს თავისი მოყვასი, ადამიანი და სძაგს ბოროტება. ეს გრძნობა ძირითადია მის ნაწერებში. მაგალითად, „მაკარის სიზმარში“ მან დაგვიხატა ამ მოთხრობის გმირი ძლიერის კალმით, გადუჭარბებლად, გაალვიძა ჩვენში ცხოვრებისაგან დაჩაგრულთა მიმართ თანაგრძნობა, იმიტომ, რომ თავად მის გულში ცოცხლობს ეს თანაგრძნობა და მწუხარება ცხოვრებაში გაბატონებულ ბოროტებისაგან გამოწვეული. მის ნაწერებში ცხადად არის გამორკვეული, როგორ სჩაგრავს ადამიანს ცხოვრება, როგორ ამახინჯებს მის ზნეობრივ ბუნებას. ვ. კოროლენკო არ არჩევს სხვებსა და თავისიანებს: „იომ კიპურში“ ის აზრი აქვს გატარებული, რომ მოვახშე ურია მოვახშე რუსზე უფრო ზნე-დაცემული არ არის. ავტორმა მიაქცია ყურადღება ცხოვრების იმ პირობათ, რომელნიც რყვნიან ადამიანს, იმის განურჩევლად, რუსია იგი თუ ებრაელი. მან ნათელი მოჰფინა ადამიანის ნამდვილ ზნეობრივ ბუნებას, დაგვანახვა მაღალი იდეალი, რომელიც ავტორის გულში ცოცხლობს, რომელიც თანდათან განხორციელდება ჩვენ ცხოვრებაში.
>
> კოროლენკოს ნაწერები გამამხნევებელი, ადამიანის გულში იმედის აღმძვრელი ნაწერებია. მის მკითხველს ტვირთი უმსუბუქდება, ებადება რწმენა, რომ თანდათან განიბნევა უვიცობის საშინელი წყვდიადი, რომელმაც მოიცვა ქვეყანა, რომ შესაძლებელია სხვა, უკეთესი ცხოვრება, ადამიანთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

⁂

გაზ. „იუჟნ. კრაი“-მ აღნიშნა ის ფაქტი, რომ კანონმა გააუქმა სამარცხვინო სახელწოდება „უკანონო შვილი“ და დასტოვა არა ნაკლებ სამარცხვინო სახელწოდება: „პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფი კაცი.“

ეს სახელწოდება ადამიანის ღირსებას ამცირებს, ამბობს გაზეთი, ხალხი ამისთანა ადამიანს იჭვის თვალით უყურებს, ერიდება მას, როგორც საშიშ არსებას.

საყურადღებოა პოლტავის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ბ-ნ ხრისტიანოვიჩის აზრი ამ საგნის შესახებ. პრაქტიკამ დაამტკიცაო, ამბობს იგი, თუ რამდენად უსაფუძვლოა და მავნებელი ეს სახელწოდება. მე არ შევეხები იმ გარემოებას, თუ რამდენად ძნელია პოლიციისათვის, თვალი ადევნოს „მხედველობის ქვეშ მყოფთ“, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ „მხედველობის ქვეშ მყოფი“ კაცი უფრო ფრთხილად მოქმედებს; რაიმე ბოროტ-მოქმედებას რომ განიზრახავს, უფრო იდუმალი და მოფიქრებული საშუალებით აასრულებს, რადგან იცის, რომ პოლიცია თვალ-ყურს ადევნებს მას. „პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფი“ თითქმის უფლება ახდილი კაცია. რუსეთში თავისუფალ ადამიანსაც უჭირს სამუშაოს შოვნა, „მხედველობის ქვეშ მყოფ“-თათვის-კი ერთი ორად უფრო გასაჭირია. კანონი აფრთხილებს საზოგადოებას; ერიდეთ ამ კაცს, ნუ ენდობით მას, რადგან იგი ბოროტმოქმედიაო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოროტ-მოქმედთა შორის ბევრნი იმისთანებიც არიან, რომელთაც თავისი დანაშაული რაიმე შემთხვევის მიზეზით ჩაუდენიათ, ამათაც „მხედველობის ქვეშ მყოფთა“ დაღს დასვამენ და მწარე სატანჯველში ჩააგდებენ ხოლმე.

40 წლის წინად რუსეთში ბოროტ-მოქმედთ ჯალათი დასვამდა ხოლმე დაღს გახურებული შანთით. ეს საშინელი წესი მოისპო, მხოლოდ დაღს ახლა ადამიანის სულს და გულს დაასვამენ ხოლმე და ისე ისტუმრებენ ცხოვრებაში.

⁂

ინგლისურ გაზეთ „დეილი მელ“-ში მოთავსებულია ცნობა ნიუ-იორკის პროფესსორის სტარკის საყურადღებო გამოკვლევის შესახებ. ხსენებულმა პროფესსორმა გამოიკვლია, თუ რანაირად მოქმედებს ამერიკის ჰავა და ბუნება ევროპიელებზე. მან დაწვრილებით შეისწავლა ამერიკაში გადმოსახლებულ ევროპიელთა ცხოვრების პირობანი მექსიკაში, სამეურნეო კოლონიები პენსილვანიაში, რომელნიც უკვე სამი საუკუნეა, რაც არსებობენ იქ. პროფესსორი იმ დასკვნას დაადგა, რომ გერმანელი მოდგმის ხალხი, ტევტონის რასსა, ადვილად ეთვისება უცხო ქვეყნის ბუნებას და ადგილობრივ მკვიდრთა ფიზიკურ თვისებათ შეიძენს ხოლმე. ყველა ზემოთქმული, დასძენს „დეილი მელი“, ზნეობრივ თვისებებზედაც ითქმისო.

ტყის დაცვის კანონი *)

ამ დღეებში უმაღლესი ბრძანებით გამოცხადდა, რომ 1888 წელს, 4 აპრილს გამოცემულ დებულებას ტყეების დაცვის შესახებ ამიერ-კავკასიაშიაც ძალა ჰქონდესო, ასე რომ ამას იქით ჩვენებური ტყეები ამ დებულებას დაექვემდებარებიან. ამიტომ მეტი არ იქმნება, ჩვენ მკითხველებსაც გავაცნოთ ეს ახალი კანონი.

1888 წლის კანონით მრავალი რამაა დადგენილი, რომ ტყეები უბრალოდ აღარ გაიჩეხოს, ახალი ტყეები გაშენდეს და ტყეებში წესიერი მეურნეობა შემოიღონ. ყველა ის ტყე და ჯაგნარი, რომლებიც ნიადაგს ამაგრებენ, მიწისა, ქვიშისა, ან კლდის დაზვავებას აბრკოლებენ, დაცულ ტყეებად იქნება ცნობილი. დაცულ ტყედ იქნება ცნობილი აგრეთვე ის ტყე და ჯაგნარიც, რომლებიც ზღვისა, მდინარეებისა და ძალად გაკეთებულ ტბების ნაპირებს ამაგრებენ; დაცულ ტყეებად იქნება ცნობილი ყველა ის ტყე და ჯაგნარი, რომლებიც ქალაქებსა, სოფლებსა, შემუშავებულ მიწებსა, მდინარეებსა, არხებსა და წყლის სათავეებს იფარვენ ჩამონგრევისა და ყინულის ზვავებისაგან, აგრეთვე ის ტყე და ჯაგნარი, რომელიც მთებში, ფერდობ და მწვერვალ ადგილებზე მდებარეობენ; ერთის სიტყვით, ყველა ის ტყე და ჯაგნარი, რომლის გაჩეხვაც რაიმე დიდ ზარალს მოუტანს ქვეყანას. ადგილობრივი ტყის დამცველი კომიტეტი სატყეო მმართველობის მოხელეს ჰგზავნის ამნაირ ტყეების გასასინჯად და თუ მოხელის გამოკვლევა დაამტკიცებს, რომ ამა და ამ ტყეს დაცვა ესაჭიროება, ტყის დამცველი კომიტეტიც განკარგულებას ახდენს, რომ ეს ტყე რიგზე დაიცვან. ტყის დასაცველად ამნაირ ღონისძიებას ხმარობენ: სატყეო გამგეობის მოხელე ამ ტყეს ადგილობრივ გაჰსინჯავს, მოაწყობს და მეურნეობის პლანს შეადგენს. ეს პლანი უსათუოდ კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს. ტყის მეურნეობის პლანში დაწვრილებით უნდა აიწეროს, რა წესითა და რიგით უნდა ისარგებლოს ტყის პატრონმა თავის ტყის ყოველის ნაწილით და პატრონიც ვალდებულია ეს წესი და რიგი აასრულოს. ამ წეს-რიგის დარღვევისათვის პატრონი ყოველთვის მომრიგებელ-მოსამართლეების მიერ დადებულ სასჯელთა მე-57ვ—57ნ და მე-156 მუხლების ძალით აგებს პასუხს. ვიდრე მეურნეობის პლანი დამტკიცდებოდეს, პატრონს არაფრის გაკეთება არ შეუძლიან დაცულ ტყეში, ძირ-ნაყარ შეშის გამოტანისა და გამხმარ ხის მოჭრის გარდა. მეურნეობის პლანით მთელ დაცულ ტყეებში, ან ტყის რომელსამე ნაწილში აიკრძალება: 1) ტყის პირაღებით გაჩეხვა; მხოლოდ თან-და-თან, ნაწილ-ნაწილად მოჭრის ნება ეძლევა პატრონს, იმ პირობით კი, რომ მოჭრილ ხეების მაგიერ ბუნებრივად ახალი ხეები გააშენოს; 2) აიკრძალება ფესვისა და ხის ძირების ამოღება, თუ ტყეს ისეთი ნიადაგი აქვს, რომ შიშია, ქვიშა და მიწა მოზვავდეს, ან ნიაღვარმა წაღეკოს ტყე. ეს მუშაობა აიკრძალება აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, თუ ფესვები და ხის ძირები საჭიროა ტყის ბუნებრივ გაშენებისათვის, და 3) აიკრძალება საქონლის ძოვება, თუ კი საქონელი ტყეს წაახდენს, ან ახლად გაშენებულ ტყეს მოსპობს. თუ მეურნეობის პლანის ასრულება პატრონისაგან ხარჯს თხოულობს, პატრონი მოვალე არაა ეს ხარჯი თავის თავზე იკისროს. თუ პლანში ნაჩვენებ ღონისძიებათა ასრულება საჭიროდ იქმნება ცნობილი, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უფლება ეძლევა ამნაირი ტყე პატრონისაგან სახელმწიფოდ შეისყიდოს. ამნაირად ნაყიდ ტყის პატრონს ნება აქვს ათის წლის განმავლობაში თავისეული ტყე ისევ თითონ დაიბრუნოს: ხაზინას მიღებული ფული და ტყეზე გაწეული ხარჯი თავისი სარგებლით (6%) უნდა დაუბრუნოს. მართალია დაცულ ტყის პატრონს ბევრი რამ უფლება ერთმევა, მაგრამ საბოლოოდ ამ ტყის სახელმწიფო გადასახადს აღარ იხდის და თუ ითხოვა, საერობო სადგილ-მამულო და საქალაქო დასაფასებელ გადასახადისაგანაც განთავისუფლდება. ამ ნაირივე შეღავათი პატრონებს ეძლევათ 30 წლის განმავლობაში იმ ტყეებშიაც, სადაც ძალად ტყე გაუშენებიათ, თუ რომ ამისთანა ტყე გაჩეხილ ტყის მაგიერ არაა გაშენებული.

ახალი კანონი ყურადღებას აქცევს და იცავს აგრეთვე იმ ტყეებსაც, რომლებიც მდინარეების სათავეებში მდებარეობენ. ამნაირი ტყეები რომ გაიჩეხოს, ბევრი მდინარე და წყარო გაშრება. ამიტომ ამ ტყეებს კანონი „წყლის მფარველ“ ტყეებს უწოდებს. „წყლის მფარველ“ ტყეებისთვისაც ისეთივე წესია დაწესებული, როგორიც დაცულ ტყეებისათვის. მხოლოდ ამ ნაირ ტყის პატრონს მეტი თავისუფლება აქვს მიცემული, ვიდრე დაცულ ტყეების პატრონს: ნება აქვს, მეურნეობის პლანის დამტკიცებამდე, ტყე მოსჭრას; რასაკვირველი ტყე კი არ უნდა გააჩანაგოს. ტყის დამცველ კომიტეტის ნებართვით, პატრონს მთელის „წყლის მფარველ“ ტყის გაჩეხვაც შეუძლიან; დაცულ ტყის გაჩეხვა კი სრულებით აკრძალულია. რადგან „წყლის მფარველი“ ტყე ბევრიცაა და სულ სხვა მნიშვნელობაცა აქვს, ამიტომ ამ ნაირ ტყეების მოწყობის დროს უფრო ნაკლებს მოითხოვენ, ვიდრე დაცულ ტყეებისაგან. დაცულ და „წყლის მფარველ“ ტყეების მოწყობის ყველა ხარჯი ხაზინამ უნდა იკისროს.

დანარჩენ ტყეებში კი, რომლებიც არც დაცულ ტყედაა ცნობილი, არც „წყლის მფარველად“, აიკრძალება სრული ტყის გაჩეხვა. ამ ნაირ ტყის გაჩეხვის ნება პატრონს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა: 1) როცა მეურნეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებლად საჭიროა ტყის სრული გაჩეხვა; 2) როცა გაჩეხილ ტყის ბადლად ვენახისა და ხეხილის გაშენებას აპირობენ, ან ისეთ დროებით მეურნეობის შემოღებას ჰფიქრობენ, რაც ძალად ტყის გაშენებას ხელს შეუწყობს; 3) ტყის საზღვრის გასასწორებლად, გზების გასაყვანად და შენობების ასაგებად; 4) მამულის გაყოფის დროს, თუ ტყის გაუჩეხავად ეს გაყოფა გაძნელდება; 5) თუ ტყის გაჩეხვა საჭიროა იმისათვის, რომ მამულის მფლობელებს ერთ ადგილას მიეცეთ თავ-თავიანთ ნაწილი; 6) გამიჯვნის დროს; 7) როცა პატრონს ახლად აშენებული ტყე აქვს, ზომით იმ ტყის სწორი, რომელსაც გაჩეხვას უპირობს; ეს ახლად გაშენებული ტყე სამის წლისა მაინც უნდა იყოს; 8) ძალად გაშენებულ ტყეებში, ოცის წლისაც რომ არ იყოს ჯერა, შეიძლება ტყის მოჭრა, თუ ეს ტყე გაჩეხილ ტყის ნაცვლად არაა გაშენებული; 9) როცა ტყეს მცირე ადგილი უჭირავს, და არც სხვაფრივ აქვს მნიშვნელობა და 10) როცა ტყეში საჭიროა გლეხ-კაცების დასახლება, ან ცალკე პატარ-პატარა მეურნეობის დაწესება. ტყის დამცველი კომიტეტი მოვალეა, როცა ტყის გაჩეხვის ნებას აძლევს, ადგილობრივ ტყეების საზოგადო რაოდენობას ვარაუდი გაუწიოს, რომ იმ მხარეს, სადაც ტყე იჩეხება, არა ევნოს-რა. როცა პატრონი ტყის გაკაფვას მოინდომებს, მოვალეა ტყის დამცველ კომიტეტს დასაბუთებული თხოვნა მიართვას და თუ 6 თვის განმავლობაში კომიტეტისაგან პასუხი არ მოუვა, ნება აქვს ტყის გაკაფვას შეუდგეს. საზოგადოთ იმ ტყეებში, რომლებიც დაცულ ტყეებად არაა ცნობილი, კანონის ძალით, ტყე ისე არ უნდა გაიჩეხოს, რომ ხე გამოილიოს, ტყის ბუნებრივი გაშენება შეუძლებელი გახდეს და ტყის ადგილი უდაბნოდ გადაიქცეს. გაკაფულ ადგილებში საქონლის ძოვებაც აკრძალულია, ვიდრე ახლად ამოსული ტყე 15 წლის არ გახდება, ან ვიდრე ახლად დარგული ტყე 4 არშინის სიმაღლისა არ გაიზრდება. თუ ტყე დაცულ ტყედ არაა ცნობილი, ტყის პატრონს ნება აქვს საკუთარი მეურნეობის პლანი შეადგინოს. ეს პლანი ტყის დამცველ კომიტეტს უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად და თუ ერთის წლის განმავლობაში კომიტეტისაგან არც პლანის დამტკიცება მოუვა, არც უარი, პატრონს ნება აქვს თავის პლანის ასრულებას შეუდგეს. თუ პატრონი კანონს დაარღვევს და მეურნეობის პლანს არ აასრულებს, მოვალეა, იმ შემთხვევაში, როცა უკანონოდ გაჩეხილ ტყის მაგიერ ბუნებრივ ტყის გაშენება შეუძლებელია, ძალით გააშენოს ტყე; ტყის გაშენების ვადას კომიტეტი დაჰნიშნავს. თუ პატრონმა ტყე ან ამ ვადაზე ან რიგზე ვერ გააშენა, თითონ კომიტეტი გააშენებს პატრონის ხარჯით.

(დასასრული იქნება)

თეატრი

ხონი. თითქმის ერთ თვეზე მეტია, რაც ხონში აფიშებს აკრავდნენ სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენის გასამართავად და ეს წარმოდგენა, როგორც იქმნა, 20 ივლისს ხონის საზაფხულო თეატრში ქუთათურ მსახიობის ჩარკვიანის მონაწილეობით გაიმართა. ითამაშეს „პატარა კახი“. წარმოდგენამ ვერ ჩაიარა კარგად. თუმცა ზოგიერთები, მაგალითად, მდივანი და ჩარკვიანი რიგიანად ასრულებდნენ როლებს. ძალიან მოეწონა ხალხს მწყემსის როლის შემსრულებელი ილია ბახტაძე. დანარჩენნი სუსტად ითამაშეს.

არ შემიძლიან რამდენიმე ნაკლი არ აღვნიშნო ხონის თეატრისა. თავი და თავი ის არის, რომ სცენა მოუწყობელია, მეორე—სკამები უხერხულია, მესამე—თეატრის ადმინისტრაცია ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევს წესრიგის დაცვას. ხშირად, როდესაც მომქმედი პირები სცენაზე დგანან, ხმაურობასა და სიცილს გაიგონებთ; მეოთხე—ბილეთს მოგყიდიან, კარებში შეგიშვებენ და მერმე, თუნდა ორ-მანეთიანი ბილეთი გქონდეს, შეგიძლიან პირველ რიგის სკამზე დაბრძანდე. პირველ რიგის ბილეთიანს-კი მე-9 და მე-10-ზედაც უხდება ჯდომა. ქუდის მოხდა ხომ მეტ ბარგად ყოფილა მიჩნეული აქ. საჭიროა ყველა ამას აქ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ადგილობრივ თეატრის გამგეობამ. ხონელ ქალების ის ზნეც უნდა აღვნიშნოთ, რომ სცენას საშინლად გაურბიან თურმე. სცენის მოყვარეთ წარმოდგენის გასამართავად სხვა სოფლებიდან მოჰყავთ თურმე ქალები.

დ. მოსეშვილი

წერილი ქვემო იმერეთიდან

მებაღეების გაჭირვება.

ქვემო იმერეთში ამ რამდენისამე ხნის წინად სიმინდის მეტი არა მოჰყავდათ-რა და არც ჰფიქრობდნენ ახალ, უფრო ხელსაყრელ კულტურების შემოღებაზე, რადგან სიმინდსაც კარგი ფასი ჰქონდა და ქვემო იმერელი ასე თუ ისე იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებათ.

მაგრამ ცხოვრების პირობები ძალიან მალე შეიცვალა: ხალხი გამრავლდა, მიწა გაძვირდა და სიმინდის ფასი უფრო და უფრო დაეცა. შევიწროებული იმერელი ქალაქებს ეცა.

ვინც სოფელში დარჩა, ისიც იძულებული შეიქნა სიმინდისათვის ცოტ-ცოტათი ეღალატნა და ახალი საქმეები გამოეწყო. ასეთი საქმეებია აბრეშუმი და ბაღოსნობა.

მართალია, წინადაც მისდევდნენ იმერლები ერთსაც და მეორესაც, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენად ეს საჭირო იყო ოჯახის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ბაზარში თითქმის სრულებით არ გადიოდა ქვემო იმერეთიდან არც აბრეშუმი და არც ხილი. ეხლა-კი ერთიც და მეორეც შესამჩნევი გახდა კავკასიისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე.

აბრეშუმის საქმე ცოტად თუ ბევრად მოწყობილია და სოფლის მეურნეს შესაფერი სარგებლობა გამოაქვს მეურნეობის ამ დარგიდან, განსაკუთრებით მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა და უკანასკნელად „კოლხიდის“ საზრიან მოღვაწეობის მიზეზით.

---

*) „ტიფ. ლისტ.“.

სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფებიან ქვემო იმერელი მებაღეები.

ამ უკანასკნელ ხანებში დიდ-ძალი ხილი გაშენდა ამ მხარეზე: იმდენათ მოვლენაა, რომ სულ უკანასკნელ გლეხსაც კი არა ჰქონდეს გასასყიდი ხილი, განსაკუთრებით საადრეო ატამი. მაგრამ სახრავი სულ სხვისაა.

რაც დრო მიდის, ხილის ფასმა ისე დაიწია, რომ ზოგი მებაღე ხილის აჭრასაც-კი ჰფიქრობს და არც გასაკვირველია: წელს ფუთი ატამი, სამტრედიაში ჩატანილი, თარ-თარ შაურად გაიყიდა და კიტრი ასი 10—20 კ. იყო, მაშინ როდესაც ქალაქებში (ბათუმსა და ტფილისში) გირვანქა ატამი 8—10 იყიდება და ასი კიტრი 1,50—2 მანეთად.

საცოდავი სანახავი იყვნენ ხილის ბაღის პატრონები წელს. ოც-ოცდაათ თუმნის მაგიერ რომ თხუთმეტი, ოცი მანეთი აიღოს დარიბმა მეურნემ, არ შეიძლება საცოდავი და შესაბრალისი არ გახდეს. რითი გაუძლებს ოჯახისა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ათასგვარ საჭიროებას? სიმინდი ხშირად თავის საუფეიც არ მოსდის და დედის ერთასავით მოვლილ ბაღმა კი ცალიერზე დასვა.

მოწყობილ ქვეყნებში მთავრობა უწევს დახმარებას გაჭირვებულ ხალხს—ფულს აძლევს შეღავათიანის პირობებით, რომ ცოტა წელში გაამაგროს და სრულებით არ განადგურდეს, ბოგანო არ გახდეს. ჩვენში ეგრე არ არის... და წელს რითი გათავდება საქმე, ძნელი წარმოსადგენია, განსაკუთრებით თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ ბევრი ადგილი დაუხვნელ-დაუთესველი დარჩა ცნობილ მიზეზების გამო.

გულზე ხელის დაკრეფა მაინც არ გვმართებს, თუ გვინდა, რომ შემდეგში მაინც შევიმსუბუქდეს ეხლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა.

აუცილებელი საჭიროებაა, რომ ხილის გაჭრობის საქმეც ისე მოეწყოს, როგორც აბრეშუმისა, ე. ი. ხილის ბაღის პატრონებიც უნდა შეერთდნენ, რომ თავი არ დაანაგვრინონ ქალაქელ ჩარჩებს. ასეთ შეერთების ინიციატივა უნდა იკისრონ ადგილობრივ შეგნებულ პირებმა. გვინდოდა დაგვესახელებინა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება, მაგრამ ეს დაწესებულება იმდენად უსიცოცხლო და გამოუსადეგარია, რომ თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ იგი არ არსებობს იმერეთისთვის.

არის კიდევ ერთი საშუალება ხილის ბაღის პატრონთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ეს არის ხილის კონსერვების ქარხნის გახსნა ადგილობრივ. ასეთი ქარხანა, როგორც მცოდნენი ამბობენ, მაინცა და მაინც დიდ თანხას არ თხოულობს, და ამიტომ არც მისი დაარსება იქნება ძნელი, მაგრამ სასურველია, რომ ეს საქმე ისევ მებაღეებმა იკისრონ, თორემ თუ ერთმა კაპიტალისტმა გააკეთა ქარხანა, ეხლანდელ ჩარჩებზე ნაკლებ არც ის აზარალებს მეურნეებს.

როგორც ხილის გაჭრობის მოწესრიგებისათვის, ისე კონსერვების ქარხნის მოწყობისათვის საჭიროა შეერთებული, დაკავშირებული მეურნეები.

წერილი პორტ-არტურიდან

ქართველი ჯარის-კაცნი.—ქართველი ვაჭარნი.

ვინ იცის, ეს წერილი რამდენი კვირის შემდეგ მოახწევს „ცნობის ფურცლის“ რედაქციამდე. სულ ცოტა, თვე-ნახევარი მაინც დაუგვიანდება გზაში, ისე ვართ დაშორებულნი ჩვენს ქვეყანას. მართალია, შორს არის პორტ-არტური, მაგრამ ქართველები აქაც მოიპოვებიან. ქალაქ პორტ-არტურში ოთხი რაზმია და ამ რაზმებში ამ ჟამად ათამდე ქართველი ჯარის-კაცი მსახურებს. წინად სამჯერ უფრო მეტი იყო. 1900 წელს აქ 27 ქართველი ჯარის-კაცი ითვლებოდა. სამწუხაროდ, ჩვენებურებმა აქაური ჰავა ვერ აიტანეს, ამიტომ ბევრი დაიხოცა, ბევრიც ავადმყოფობის გამო გაანთავისუფლეს და შინ გაუშვეს, ასე რომ 27 კაციდან ათამდე-ღა დარჩა. ერთიც 26 ივნისს გამოესალმა წუთი-სოფელს. ეს ქართველი ჯარის-კაცი პურის მცხობლად იყო რაზმში და ამ დღეს როგორღაცა უცაბედად დამრჩვალიყო.

ქართველები აქ მოსვლისათანავე საშინელ დარდსა და მწუხარებას ეძლევიან. ძალიან ბევრი ჰლექიანდება. იანვარში ლაპარაკი იყო, რომ ჩვენებურ კაცს ამურისაკენ აღარ გამოჰგზავნიდნენ. მთავარმა შტაბმა ცნობებიც მოითხოვა, სად რომელ გუბერნიის კაცი მსახურებსო, მაგრამ მას შემდეგ საქმე მიყუჩდა და აღარა ისმის-რა. 17 ივნისს სამხედრო მინისტრი იყო აქ. იმედი გვქონდა, რამეს გამოგვიცხადებდა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. ერთ ჩვენებურს ვინაობა გამოჰკითხა. ხომ არ ავადმყოფობენო, მიჰმართა მერე აფიცრებს, მაგრამ ამათ ერთ ხმად მიუგეს, რომ ყველანი კარგად არიანო.

ვაჭარი ქართველებიც არიან აქ, ქუთაისის გუბერნიიდან. ზოგს სასტუმრო უჭირავს, ზოგი სადგურებზე ბუფეტის პატრონია. ქალაქის ინჟენერიც ქართველია—თავ. ანდრონიკაშვილი. მეორე თავადს ჩერქეზიშვილს კანტორა უჭირავს აქ. **პორტ-არტურელი**

დაბა-სოფლები

სოფ. საგაჟო (ზემო იმერეთი). სამ ივლისს, დილის 10 საათზე შეუცვივდა ს. საგაჟოს გლეხს ციცქიშვილის სამი შეიარაღებული კაცი, მეზობლები, გვარად ნ.—ძეები. სახლში მხოლოდ დედა და ქალი დაუხვდათ, კაცები ჭიათურაში იყვნენ სამუშაოდ წასულნი. ნ.—ძეებს ქალის მოტაცება უნდოდათ და ხელიც წაავლეს მას. ქალმა კივილი მორთო; ბიძა-ბიძაშვილმა გაიგეს ეს და მოეშველნენ. მტაცებლებმა ორივენი მოჰკლეს. ამ დროს ქალმა თავს უშველა და ბოსტანში დაიმალა. მტაცებლებმა შენიშნეს, გამოუდგნენ და დაიჭირეს ქალი. ქალმა დობის სარს წაავლო ხელი, მაგრამ მტაცებლებმა იძვრეს ხანჯალი, დაჰკრეს ხელზედ, გააგდებინეს სარი და წაიყვანეს. როცა სოფელ მანდაეთში გავიდნენ, მამასახლისის თანაშემწემ შეაგროვა ხალხი, გამოუდგა უკან და დაეწია. მდევრებმა წაართვეს ქალი, მაგრამ ამ დროს მტაცებლებს სახეში დაუჭრიათ იგი. ერთი ბოროტ-მოქმედი დაიჭირეს, სხვანი კი იმალებიან.

საზოგადოდ აქაურებს არც დღე არც ღამე მოსვენება არა გვაქვს: დღე ყანაში ვთოხნით დილიდან საღამომდის, ხოლო ღამე ფეხზედ ვათენებთ ყარაულობაში, რომ ქურდებმა არა მოიპარონ-რა, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ მოუხერხეთ აფხაზებს, რომელნიც ჩვენში მეტად გამრავლდნენ. ა. ჩ—მე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ივლისი

კიევი. აზრათ აქვთ დაიწყონ დიდი შენობა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტისა. ხაზინას 2,069,000 მანეთის კრედიტს სთხოვენ. კრედიტს სამ ვადაზე თხოულობენ. ახლო მომავალში 800,000 მან.

ეკატერინოსლავი. აქაურ სამთო ინსტიტუტის 1 კურსზე 60 ვაკანსიაა; 10 ვაკანსია უმაღლეს სწავლა-მიღებულთათვის არის.

რომი. კარდინალი სარტო პაპად აირჩიეს.

რომი. დილის 11 საათზე და 50 წამზე კარდინალმა მაკკიმ წმ. პეტრეს სობოროს გარეთა აივნიდან გამოაცხადა, პაპი უკვე ავარჩიეთო, და დაუმატა, კარდინალ სარტომ პიუს X დაირქვაო. ჯარებმა სამხედრო სალამი მისცა და მოედანზე აუარებელი ხალხი მოგროვდა. პაპი პიუს X 12 საათ. და 10 წ. სობოროს შიგნითა აივანზე გადმოდგა და ხალხი დალოცა. ხალხმა აღტაცებით დაიგრიალა.

ლონდონი. ინგლისის პარლამენტის მოღვაწეები საფრანგეთის დეპუტატებს სამაგიერო ვიზიტს ახალ სტილის 25 ნოემბერს გადაუხდიან პარიზში.

ბერლინი. როგორც „ვოლფის ბიურო“-მ შეიტყო, სრულიად უსაფუძვლოა „პოპოლო რომანო“-საგან გამოქვეყნებული ცნობა, ვითომც სამთა კავშირის სახელმწიფოები ერთმანეთს გამოელაპარაკებოდნენ არსებულ სავაჭრო ხელშეკრულების განგრძობის შესახებ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ მესამე წაკითხვის შემდეგ მიიღო კანონ-პროექტი ფლოტის შესახებ. ერბოს ვაჭრობის კანონ პროექტი მთავრობამ უკანვე წაიღო.

ალტენბურგი. დღეს იდღესასწაულეს ჰერცოგ ერნსტის მართვის 50 წლის დღესასწაული.

სოფია. ოსმალეთის წყაროებიდან ისეთი ცნობები მოდის, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პორტა მშვიდობიან პოლიტიკას ადგას, მაგრამ მცოდნე წყაროებიდან მიღებულია ცნობები, რომლებიც ამ ცნობებს ეწინააღმდეგებიან. მოულოდნელმა ორი ყუმბარის აფეთქებამ სალონიკში ახალი უწესოება გამოიწვია მაკედონიაში.

სიმლა. ვიცე-კოროლმა საკანონმდებლო საბჭოს აცნობა, თანახმა ვარ მთავრობის წინადადებისა, რომ კვლავ განვაგრძო ჩემი თანამდებობის ასრულებაო.

მადრიდი. მინისტრ-პრეზიდენტმა ვილლაერდემ განაცხადა, პარიზში რომ ვიყავ, ისპანიის ელჩს მხოლოდ სავაჭრო ხელშეკრულებაზე მოველაპარაკე და არავითარ ახალ კავშირის გეგმის შედგენა აზრადაც არა მქონიაო.

დივეევო. 22 ივლისს აკურთხეს ეკკლესიის სტოვა ღირსი სერაფიმეს სახელობისა. ღვთის მსახურებას ნიჟეგოროდის ეპისკოპოსი ნაზარი ასრულებდა. წირვის შემდეგ დივეევოში მყოფმა ჯარმა პარადი გადიხადა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს. მლოცველთა რიცხვი ძალიან დიდია. დივეევოში სრული მშვიდობიანობა და წესიერებაა.

ბერლინი. საერთაშორისო კონფერენციამ, რომელმაც უმავთულო ტელეგრაფის საკითხი უნდა განიხილოს, 22 ივლისს შუადღისას სხდომები დაიწყო. მოვიდნენ წარმომადგენლები გერმანიისა, რუსეთისა, ინგლისისა, საფრანგეთისა, იტალიისა, ავსტრ-ჰუნგრეთისა, ამერიკისა და ისპანიისა, სულ 40 კაცი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. იერბურგი ჰკითხულობს, შეიტანს თუ არა საადმირალო დამატებას ხომალდთა შენების კანონ-პროექტში. ეს დამატება საჭიროა, იმიტომ, რომ საადმირალოსაგან მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის შემდეგ რუსეთმა ორი სამხედრო გემის აშენება დაიწყო შავ-ზღვაზეო. პარლამენტის საადმირალო საქმეთა მდივანმა ფორსტერმა მიუგო, საადმირალოს ისეთი ახალი რამ გარემოება არ გაუგია, რომელიც იერბურგისაგან აღნიშნულ ზომებს მოითხოვდესო; როცა საადმირალო ხარჯთ-აღრიცხვას ადგენდა, იცოდა, რომ რუსეთი იმ ორ გემს ამზადებს. თუ გამოჩნდება ახალი რამ გარემოება, რომელსაც საადმირალო არ მოელოდა, მაშინ საადმირალო პალატას შესაფერს მოხსენებას მიართმევს; მაგრამ ესეთი გარემოება ჯერ არ გამოჩენილაო.

ბუხარესტი. ვოლოგდის პოლკის აფიცრებმა ინახულეს მე-18 პოლკი ტარუტიში და მე-4 კავალერიის პოლკი ბალადში და რუსეთისაკენ გამოემგზავრნენ. ყველგან თანაგრძნობით ეგებებოდნენ, როგორც მოძმეებს იარაღით.

პორტ-არტური. ჩიფუდან იუწყებიან, ნიაღვარმა დიდი უბედურებები მოახდინაო. მთებიდან უშველებელი ნიაღვარი მოვარდა ქალაქში, სახლები წალეკა, ზღვისკენ გაიტანა ხიდები, საქონელი და ხალხი. ნიაღვარმა და ზღვამ საშინელი მორევი შეადგინეს, რომლის დიამეტრი ერთი ვერსი იქნებოდა. მორევმა ისევ ზევით ამოაგდო, რაც კი ნიაღვარმა მოიტაცა. 700-დის კაცი დაიღუპა, 2000-დის უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 18 ივლისს

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინზე 100 მარკაზე	—
პარიზზე 100 ფრანკზე	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
5% სახელმწიფო რენტა	99⅝ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	95⅛ „
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	440½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335½ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	83½ „
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	85⅞ „
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	92½ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91¾ „
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	190 „

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

პარიკმახერების ამქრის
უსტაბაში

ამით აცხადებს ქ. ტფილისის პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ, საზოგადო სახელოსნო წესდების მე-430 მუხლის ძალით, ყველა საპარიკმახეროები ქალაქ ტფილისში 27 ამა ივლისიდან კვირაობით მთელს დღეს დაკეტილი იქმნება. ვაუწყებთ რა ამას პატივცემულ საზოგადოებას, ვთხოვთ საპარიკმახეროებს საქმე დღეებში მიჰმართონ ხოლმე.

პარიკმახერთა ამქრის უსტაბაში
(1—129—1) ს. მაჩხანელი

დალაქების ამქრის უსტაბაში

ამით აცხადებს, ქ. ტფილისის პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ, საზოგადო სახელოსნო წესდების მე-430 მუხლის ძალით, ყველა სადალაქოები ქალაქ ტფილისში 27 ამა ივლისიდან კვირაობით მთელ დღეს დაკეტილი იქმნება. ვაუწყებთ რა ამას პატივცემულ საზოგადოებას, ვთხოვთ სადალაქოებს საქმე დღეებში მიჰმართონ ხოლმე.

დალაქების ამქრის უსტაბაში
(1—130—1) გურთაგოვი

კურსები

ბუხჰალტერიისა, საკომერციო არითმეტიკისა და სავაჭრო უფლებისა
ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან.
(წლიწადი მეოთხე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი გაგრძელდება არა ნაკლებ 6 თვისა. სწავლა საღამოობით იქნება, სამჯერ კვირაში. ყურის მგდებლად შეუძლიანთ იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

თხოვნები საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახეზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10 დან ნაშუადღევის 2 საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთ. სახ. № 11).

(10—1)

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 373.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 Іюля, 1908 г.
ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.
(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)